



EUROPEAN PARLIAMENT



არჩევნებზე დამკვირვებელთა საერთაშორისო მისია საპარლამენტო არჩევნები, საქართველო – 4 იანვარი, 2004

განცხადება წინასწარი შედეგებისა და დასკვნების შესახებ

თბილისი, 5 იანვარი, 2004 წელი – 4 იანვრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებზე მოვლინებული საარჩევნო დამკვირვებელთა საერთაშორისო მისია არის ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და ევროპის პარლამენტის ერთობლივი წამოწყება.

ეს წინასწარი განცხადება ქვეყნდება არჩევნების ოფიციალური შედეგების შეჯამებამდე და გამოცხადებამდე, აგრეთვე არჩევნების დღეს წარმოშობილი საჩივრებისა და სარჩელების განხილვამდე. საარჩევნო პროცესის სრული და საბოლოო ანალიზი მოცემული იქნება ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საბოლოო მოხსენებაში.

წინასწარი დასკვნები და რეკომენდაციათა ჩამონათვალი

2004 წლის 4 იანვარს გამართული საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები აღინიშნა საგრძნობი პროგრესით წინა არჩევნებთან შედარებით და ამის შედეგად, ქვეყანა უფრო ახლოს არის საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებასთან და დემოკრატიული არჩევნების სტანდარტების დაცვასთან.

ხელისუფლებამ ზოგადად გამოავლინა დემოკრატიული არჩევნების ჩატარების კოლექტიური ნება, განსაკუთრებით 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, როდესაც ადგილი ჰქონდა სისტემატურ და ფართოდ გავრცელებულ გაყალბებას. თუმცა, არჩევნების ორგანიზებისათვის გამოყოფილი მოკლე ვადების გამო და აგრეთვე ჭეშმარიტად კონკურენტული პოლიტიკური გარემოს არარსებობის გამო, მომავალი საპარლამენტო არჩევნები სავარაუდოდ უფრო რეალური გამოცდა იქნება იმისა, თუ რამდენად მონდომებულია საქართველო ჩატაროს დემოკრატიული საარჩევნო პროცესი.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სანაქებო ძალისხმევა განახორციელა, რათა ეს არჩევნები სანდოდ და პროფესიონალურ დონეზე ჩატარებინა, თუმცა მოკლე ვადების გამო ადმინისტრირების გაუმჯობესების მასშტაბი შესაძლოა შეზღუდული იყო. ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულ იქნა ამ შეზღუდვების პირობებში არჩევნების ჩატარების მიზნით, განიხილება, როგორც აუცილებელი ნაბიჯები, მაგრამ არ არის სასურველი პრეცედენტები საქართველოში მომავალი არჩევნების გამართვისათვის. ამ კონტექსტში აღსანიშნავია ამომრჩეველთა რეგისტრაციის ახალი წესის შემოღება, რამაც ხელი შეუწყო საარჩევნო პროცესისადმი საზოგადოების ნდობის გაძლიერებას. თუ გავითვალისწინებთ იმ მრავალ პრობლემას, რომლებსაც საარჩევნო ადმინისტრაცია წააწყდა, საარჩევნო ადმინისტრაციის თანამდებობის პირები მაღლიერებას იმსახურებენ რთულ პირობებში გაწეული გულმოდგინე შრომისათვის.

თუმცა, გარკვეული შეშფოთება გამოიწვია ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობაში არსებულმა პოლიტიკურმა დისბალანსმა, აგრეთვე იმან, რომ ზოგიერთმა საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიამ ვერ შეძლო შესაფერისი დისტანციის დაცვა საარჩევნო პროცესის მონაწილეთაგან. ასევე, ადმინისტრაციული რესურსების არადანიშნულებისამებრ გამოყენებამ ზოგიერთ შემთხვევაში გვიჩვენა, რომ კვლავაც არ არის მკაფიოდ გამიჯნული ერთმანეთისაგან სახელმწიფო ადმინისტრაციული და პარტიული სტრუქტურები.

არჩევნებზე დამკვირვებელთა საერთაშორისო მისიამ შენიშნა შემდეგი პოზიტიური ელემენტები, რომლებიც ამ არჩევნებს წინა არჩევნებისაგან განასხვავებს:

- არჩევნების საკანონმდებლო ჩარჩოსა და ხმის მიცემის პროცესის ადმინისტრირების გაუმჯობესება;
- უფრო ღია, გამჭვირვალე, პროფესიონალური და კოლეგიალური ცენტრალური საარჩევნო კომისია;
- ამომრჩეველთა სიების გასაუმჯობესებლად გაწეული სანაქებო სამუშაო;
- მასმედიის მიერ აზრის გამოხატვის თავისუფლების მაღალი ხარისხი, გარდა აჭარისა;
- მეტწილად მშვიდობიანი და თავისუფალი წინასაარჩევნო პერიოდი, თუმცა კი აქტიური კამპანია თითქმის არ წარმოებდა;
- ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და სასამართლოებში წარდგენილი რამოდენიმე სარჩელის განხილვა კანონით დადგენილ ვადებში და აშკარა მიკერძოების გარეშე;
- არჩევნებში ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობის ზრდისაკენ მიმართული საქმიანობა, მათ შორის ორენოვანი ბიულეტენების დაბეჭდვა.

თუმცა, საჭიროა პროცესის ზოგიერთი ასპექტის გაუმჯობესება, რათა მოგვარდეს ის საკითხები, რომლებიც შემფოთებას იწვევს და გაგრძელდეს შემდგომი პროგრესი. ასეთი ასპექტებია:

- კვლავაც არ არსებობს სახელმწიფო და პარტიული სტრუქტურების მკაფიო გამიჯნვა და არის შესაძლებლობა, რომ სახელმწიფოს ადმინისტრაციული რესურსები უკანონოდ იქნეს გამოყენებული;
- ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობაში არსებულმა პოლიტიკურმა დისბალანსმა, აგრეთვე იმან, რომ ზოგიერთმა საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიამ ვერ შეძლო შესაფერისი დისტანციის დაცვა საარჩევნო პროცესის მონაწილეთაგან, წარმოშვა საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის ნაკლებობის შეგრძნება;
- აჭარის ხელისუფლებამ არ გამოავლინა ნება იმისა, რომ შექმნას საკმარისი პირობები, რათა ამ რეგიონში სრულფასოვანი დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს;
- ამომრჩეველთა სიაში არსებული ნაკლოვანებები და უზუსტობები;
- ადგილობრივი დამკვირვებლების მხრიდან ნაკლები ყურადღების გამოვლენა, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ისე არჩევნების დღეს.

არჩევნების დღეს პროცედურები ზოგადად ამაღლებულ და ჰარმონიულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. ამომრჩეველთა აქტივობა განსაკუთრებით მაღალი იყო და საუბნო საარჩევნო კომისიები მთლიანობაში ეფექტიანად ასრულებდნენ ამომრჩეველთა დიდი რაოდენობის მომსახურებას. არჩევნების დრეს რეგისტრაციას უბნების უმეტეს ნაწილში ჰქონდა ადგილი, ხოლო პირდობისა და სახცოვრებელი ადგილის დამოწმების წესები ზუსტად სრულდებოდა. თუმცა, ამომრჩეველთა მარკირების, როგორც გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმის, ეფექტიანობა შემცირდა არათანამიმდევრული გამოყენების გამო, რაც მრავალჯერადი ხმის მიცემის საშუალებას ზრდიდა. ხმის მიცემის დროს ატმოსფერო ზოგადად პოზიტიური იყო და რაიმე მნიშვნელოვან არეულობას ან უწყესრიგობას ადგილი არ ჰქონია, თუმცა, მოხსენებათა თანახმად, უბნებში ბევრი ისეთი ადამიანი იმყოფებოდა, ვისაც ამის უფლება არ ჰქონდა. ამავე დროს, ქვემო ქართლში, მოხსენებათა თანახმად, ადგილი ჰქონდა ძველ დარღვევებს, მათ შორის საარჩევნო ყუთში ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრასა და ოქმების ჩასწორებას.

რაც შეეხება მომავალ საპარლამენტო არჩევნებს, არჩევნებზე დამკვირვებელთა საერთაშორისო მისია ხელისუფლებას შემდეგ რეკომენდაციებს აძლევს:

- უზრუნველყოს, რომ ადმინისტრაციული რესურსები არ იქნეს უკანონოდ გამოყენებული და ამრიგად შექმნას თანაბარი პირობები ყველა პარტიისათვის;
- უზრუნველყოს მედიის თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა პარტიისათვის, რათა ელექტორატი ინფორმირებული იყოს ტრანზიციის ამჟამინდელ პერიოდში არსებული პოლიტიკური არჩევანის ყველა შესაძლო ვარიანტის შესახებ;
- უზრუნველყოს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ადეკვატური წარმომადგენლობა ყველა დონის საარჩევნო კომისიებში, რათა გაზიარდოს გამჭვირვალეობა და საზოგადოების ნდობა პროცესის მიმართ;
- დაუყოვნებლივ დაიწყოს ამომრჩეველთა სიის კომპიუტერიზაცია, კონსოლიდაცია და ცენტრალიზაცია;
- განაგრძოს დიალოგი აჭარის ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რათა შეიქმნას სრულფასოვანი დემოკრატიული პროცესის ხელისშემწყობი გარემო; განიხლოს აგრეთვე მედიის ხელმისაწვდომობის, პარტიებისათვის თანაბარი პირობების შექმნის საკითხები და დაიცვას პარტიებისა და კანდიდატების ძირითადი პოლიტიკური უფლება მიაწოდონ საკუთარი მესიჯი ელექტორატს;

- შექმნას გარანტია იმისა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის შიდა რეფორმები სწრაფად წარიმართება, განსაკუთრებით ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და შექმნას პროფესიონალური სამდივნო ეფექტიანი ადმინისტრაციული საქმიანობისათვის;
- უზრუნველყოს ამომრჩეველთა მარკირების ერთგვაროვანი განხორციელება, რათა გაყალბების საწინააღმდეგო ამ მნიშვნელოვანი მექანიზმის ეფექტიანობა არ შემცირდეს არათანამიმდევრული გამოყენების გამო;
- განაგრძოს საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა ყოვლისმომცველი მომზადებისაკენ მიმართული საქმიანობა, განსაკუთრებით ხმების დათვლისა და შეჯამების საკითხებთან დაკავშირებით, რათა დაამკვიდროს პროფესიონალური სტანდარტები და უზრუნველყოს კანონის მოთხოვნებისა და ადმინისტრაციული წესების ერთგვაროვანი აღსრულება;
- დაიცვას საქართველოში დემოკრატიული საარჩევნო პროცესის სანდოობა და სრულად აგების პასუხი მათ, ვინც საარჩევნო კანონმდებლობას დაარღვევს;
- განაგრძოს საქმიანობა, რომლის მიზანია ეროვნული უმცირესობების მიერ საარჩევნო პროცესის ცოდნის გაუმჯობესება და მათი მასში მონაწილეობის გაზრდა, რისთვისაც უნდა დაიბეჭდოს ბიულეტენები და შედეგების შემაჯამებელი ოქმები უმცირესობათა ენებზე;
- უზრუნველყოს რეალისტური ვადების დაწესება, რათა მოესწროს ზემოხსენებული რეკომენდაციების სერიოზული და საკმარისი განხილვა;

რეკომენდაციების უფრო სრული სია, რომელშიც ყურადღება გამახვილდება გრძელვადიან პერიოდში განსახილველ საკითხებზე, მოცემული იქნება ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საბოლოო ანგარიშში ამ საარჩევნო პროცესის შესახებ.

არჩევნებზე დამკვირვებელთა საერთაშორისო მისიაში წარმოდგენილი ინსტიტუტები მზად არიან დაეხმარონ საქართველოს ხელისუფლებას საარჩევნო პროცესის ნაკლოვანებათა გამოსწორებაში და მხარი დაუჭირონ მის მცდელობას მოაგვაროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხები, რათა ჩატარდეს ჭეშმარიტად დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნები, რომლებიც სრულ შესაბამისობაში იქნება ეუთო-სა და ევროსაბჭოს წევრობით დაკისრებულ ვალდებულებებთან და ზოგად ევროპულ სტანდარტებთან.

წინასწარი შედეგები

2004 წლის 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, მეოთხე საპრეზიდენტო არჩევნები 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საყოველთაოდ განიხილებოდა, როგორც გამოცდა ახალი ხელისუფლებისათვის, რომელსაც უნდა ეჩვენებინა დემოკრატიული საარჩევნო პროცესისადმი ერთგულება.

ეს არჩევნები გაიმართა 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ფონზე, რომლებზეც უარყოფილი გავლენა იქონია მთავრობის მხრიდან ჭეშმარიტად დემოკრატიული საარჩევნო პროცესის ჩატარების ნების არარსებობამ, რის შედეგადაც ადგილი ჰქონდა არჩევნების ფართომასშტაბიან და სისტემატურ გაყალბებას. გარდა იმისა, რომ საარჩევნო უფლება წაერთვა ამომრჩეველთა სავარაუდოდ დიდ რაოდენობას, ადგილი ჰქონდა სერიოზულ დარღვევებს საარჩევნო უბნებში, მათ შორის საარჩევნო ყუთში ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრას, წინასწარ მონიშნული ბიულეტენების გამოყენებას, მრავალჯერად ხმის მიცემას და საარჩევნო ყუთების განადგურებას. უბნების დახურვის შემდეგ და ხმების შეჯამების პროცესში, საარჩევნო ადმინისტრაციის ზოგიერთი თანამდებობის პირი უშუალოდ მონაწილეობდა არჩევნების უსამართლო შედეგების უზრუნველყოფაში.

ამ ნაკლოვანებებმა გამოიწვია ღრმა პოლიტიკური კრიზისი, ქუჩის ხალხმრავალი საპროტესტო აქციები და არასტაბილური ატმოსფერო, რის შედეგადაც 23 ნოემბერს პრეზიდენტი შევარდნაძე თანამდებობიდან გადადგა. ნინო ნურჯიანიძე, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, გახდა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი და დანიშნა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები კონსტიტუციით დადგენილ ვადებში. განხორციელდა მთავრობის რესტრუქტურულიზაცია, ხოლო ზურაბ ჟვანია სახელმწიფო მინისტრად დაინიშნა. ცხრა რეგიონის გუბერნატორიდან რვა თანამდებობიდან გადადგა და ისინი ნაციონალური მოძრაობისა და ბურჯანაძე-დემოკრატების მომხრეებმა შეცვალეს.

25 ნოემბერს, უზენაესმა სასამართლომ ბათილად სცნო 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების პროპორციული ნაწილის შედეგები. ამ გადაწყვეტილების საპირისპიროდ, იმავე არჩევნების მაჟორიტარული ნაწილის შედეგები გაურკვეველი მიზეზით ძალაში დარჩა. არჩევნების შედეგების ნაწილობრივ გაუქმების შედეგად, პარლამენტის 58 არჩეულმა წევრმა ვერ დაიკავა საკუთარი ადგილი და 1999 წლის ნოემბერში არჩეული პარლამენტი ხელახლა შეიკრიბა. გარდა ამისა, 4 იანვარს ოთხ ოლქში გაიმართა ხელახალი მაჟორიტარული არჩევნები, ხოლო თერთმეტ ოლქში – მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტური. ხელახალი პროპორციული არჩევნების გამართვის თარიღი კვლავაც გაურკვეველია.

საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში პოლიტიკური გარემო მკვეთრად შეიცვალა, რადგანაც პარტიებმა, რომლებიც სათავეში ედგნენ ნოემბრის მოვლენებს, ნაციონალურმა მოძრაობამ და ბურჯანაძე-დემოკრატებმა, მოიპოვეს გავლენა აღმასრულებელ ხელისუფლებაში. საპირისპიროდ ამისა, პრო-შეგარდნადისტული საპარლამენტო კოალიცია „ახალი საქართველოსთვის“ დაიშალა და ერთ დროს გაბატონებული მოქალაქეთა კავშირი, როგორც ჩანს, აღარ ფუნქციონირებს პოლიტიკური პარტიის სახით. წარსულში გავლენიანმა რამოდენიმე პარტიამ, მათ შორის ლეიბორისტულმა პარტიამ, ახალმა მემარჯვენეებმა და ალორძინების კავშირმა, აშკარად დაკარგა მხარდამჭერთა გარკვეული ნაწილი ნოემბრის მოვლენებისაგან დისტანცირების შედეგად. ლეიბორისტულმა პარტიამ და ალორძინებამ განაცხადეს არჩევნების ბოიკოტირების განზრახვის შესახებ.

არჩევნებში აჭარის მონაწილეობის საკითხი გაურკვეველი იყო 29 დეკემბრამდე. მას შემდეგ რაც საკითხი გადაწყდა, მაინც არ არსებობდა პირობები სრულფასოვანი დემოკრატიული საარჩევნო პროცესის ჩასატარებლად. სამწუხაროდ, ისევე როგორც წინა არჩევნების შემთხვევაში, საპრეზიდენტო არჩევნები არ გამართულა აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთის უმეტეს ნაწილში.

საერთაშორისო თანამეგობრობამ მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრები და ტექნიკური დახმარება გამოჰყო საპრეზიდენტო არჩევნებისათვის, ძირითადად ეუთო-ს საარჩევნო დახმარების პროგრამის მეშვეობით. მართალია დონორთა დახმარება საარჩევნო პროცესის საკმაოდ გვიან ეტაპზე იქნა გამოყოფილი, მაგრამ მან საკვანძო როლი შეასრულა ამ არჩევნების გამართვაში. საქართველოს ხელისუფლებამ მადლიერება გამოთქვა მონაწილე სახელმწიფოების მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარებისათვის, რომლის ერთმა ნაწილმა შესაძლებელი გახდა თანხების დროული გადარიცხვა საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა ხელფასების გასასტუმრებლად.

საკანონმდებლო ჩარჩო

არჩევნები ჩატარდა ერთიანი საარჩევნო კოდექსის ზოგადი და გარდამავალი დებულებების ერთობლიობის თანახმად, რომელიც დემოკრატიული არჩევნებისათვის უკეთეს ჩარჩოს წარმოადგენს. 29 ნოემბერს მიღებული შესწორებები შეფასდა, როგორც წინ გადადგმული ნაბიჯები. ეს შესწორებები მოიცავდა გასაჩივრების პროცედურების გამარტივებას და განმეორებითი ხმის მიცემის აღკვეთის მიზნით ამომრჩეველთა საყოველთაო მარკირებას, განსხვავებით ნოემბრის არჩევნებისაგან, როდესაც ეს დამცავი ზომა მხოლოდ ქალაქებში გამოიყენებოდა.

მიუხედავად ამისა, არსებობდა მნიშვნელოვანი გაურკვეველობა შესაბამის საკანონმდებლო ჩარჩოსთან დაკავშირებით, რადგანაც გარდამავალი დებულებები არ ითვალისწინებდა არც რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს და არც ამომრჩეველთა ხელახალ რეგისტრაციას. ამის შედეგად, წარმოიშვა შეუსაბამობები და შეუძლებელი გახდა ზოგიერთი პროცედურის, მაგალითად, ამომრჩეველთა ძირითად სიასთან დაკავშირებული პროცედურების, დასრულება კანონით დადგენილ ვადებში. აღსანიშნავია, რომ გარდამავალი დებულებები, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციაში პოლიტიკურ ბალანსს ეხება, როგორც ჩანს, არ შეესაბამება შეცვლილ პოლიტიკურ სიტუაციას.

მიუხედავად ზემოხსენებული ბუნდოვანებისა, ზოგადად საარჩევნო კოდექსი დაცული იყო – ფორმით ან არსით. თუმცა, იყო გამონაკლისები. 30 დეკემბერს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად თითოეულ საოლქო საარჩევნო კომისიას უფლება მიეცა შეექმნა სპეციალური ჯგუფი ადამიანებისა, რომლებსაც არჩევნების დღეს საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის დახმარების გაწევა შეეძლო. როგორც გამოცხადდა, ამ გადაწყვეტილების მიზანი იყო საუბნო საარჩევნო კომისიებში კვორუმის უზრუნველყოფა, აგრეთვე სათანადო ადმინისტრირების უზრუნველყოფა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნებოდა ბოიკოტს საუბნო საარჩევნო კომისიის მხრიდან ან თუ სამუშაოს ოდენობა იქნებოდა ძალზედ დიდი, არჩევნების დღეს ამომრჩეველთა რეგისტრაციის გამო. მიუხედავად ამისა, ამ გადაწყვეტილების საკანონმდებლო საფუძველი

გაურკვეველი იყო და არ იქნა დადგენილი რაიმე პროცედურები ან დამცავი მექანიზმები შესაძლო დარღვევების აღსაკვეთად.

26 დეკემბერს, საკონსტიტუციო სასამართლომ განსახილველად მიიღო სარჩელი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ამომრჩეველთა რეგისტრაციასთან დაკავშირებული ერთიანი საარჩევნო კოდექსის ზოგიერთი ელემენტი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. როგორც დროებითი ზომა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სასამართლომ შეაჩერა ამ დებულებების მოქმედება. შედეგად, თუნდაც დროებით, მოიხსნა არჩევნების დღეს ამომრჩეველთა რეგისტრაციის წარმოების საკანონმდებლო დაბრკოლება.

საკანონმდებლო ჩარჩოს თანახმად, აუცილებელია არჩევნებში ამომრჩეველთა 50% მონაწილეობა, ხოლო გამარჯვებისათვის საჭიროა, რომ კანდიდატმა მონაწილეთა ხმების 50% მიიღოს. რეგისტრაციის განსაკუთრებული წესის, მათ შორის არჩევნების დღეს რეგისტრაციის, გამოყენების გამო, რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა უცნობი იყო არჩევნების დღემდე. თუმცა, ორივე შემთხვევაში, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არჩევნების წინ არ მიუღია ფორმალური გადაწყვეტილება იმის დასადგენად, თუ რის საფუძველზე მოხდებოდა ამ ზღვრების გამოთვლა.

საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნების ადმინისტრირებას სამი დონის საარჩევნო ადმინისტრაცია ახორციელებდა: ცენტრალური საარჩევნო კომისია, 75 საოლქო საარჩევნო კომისია და 2850 საუბნო საარჩევნო კომისია.

30 ნოემბერს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნა ზურაბ ჭიაბერაშვილი, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი. მის დანიშნვას წინ უძღოდა ყოფილი თავმჯდომარის, ნანა დევდარიანის გადადგომა.

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა გამოიყენა ცენტრალური საარჩევნო კომისიის იმ ზუთი წევრის დანიშნვის უფლება, რომლებსაც პრეზიდენტი ნიშნავს და შედეგად, კომისიის 15 წევრიდან 10 ახლადშექმნილი მთავრობის მხარდაჭერი იყო. მართალია შესაძლებელია, რომ ეს მიდგომა პრემატიზმს ემყარებოდა ყოფილი მმართველი პარტიის (მოქალაქეთა კავშირის) დაშლიდან გამომდინარე, მაგრამ კვლავაც არ იქნა დაცული სულისკვეთება ივლისში შემუშავებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ფორმულია, რომლის მიზანი იყო პოლიტიკურად დაბალანსებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის ჩამოყალიბება.

ცენტრალური საარჩევნო კომისია ზოგადად კანონის შესაბამისად მოქმედებდა და მისი საქმიანობა იყო პროფესიონალური, ღია და გამჭვირვალე. მან გამოავლინა დემოკრატიული არჩევნების ჩატარების უფრო ძლიერი პოლიტიკური ნება, ვიდრე მისმა წინამორბედებმა. მისი საქმიანობა საგრძობლად გაუმჯობესდა წინა არჩევნებთან შედარებით. ის ქებას იმსახურებს მისი საქმიანობისათვის, რომელიც მიზანდ ისახავდა საარჩევნო ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა პროფესიონალიზმის ამაღლებას ტრენინგების მეშვეობით, რომლებიც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში იმართებოდა. თუმცა, მაინც აშკარა იყო ცოდნის ნაკლებობა, განსაკუთრებით ოქმების შევსების საკითხში.

თუმცა, იმ გარემოებამ, რომ ზოგიერთმა საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიამ აშკარად ვერ შეძლო დისტანცირება საარჩევნო პროცესის ზოგიერთი მონაწილისაგან, წარმოშვა საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის ნაკლებობის შეგრძნება. მაგალითად, დამკვირვებლებმა მოგვახსენეს, რომ სააკაშვილის კამპანიაში ჩაბმული პირები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ საოლქო საარჩევნო კომისიებისა და საუბნო საარჩევნო კომისიების თანამშრომლებთან. ნაციონალური მოძრაობისა და ბურჯანაძე-დემოკრატების საარჩევნო კამპანიაში ჩაბმული პირები აწვდიდნენ მატერიალურ რესურსებს (ისანი, სამგორი, წყალტუბო, ტყებული), ატარებდნენ ტრენინგს (ჩუღურეთი), აწვდიდნენ კამპანიის მასალებს (ლიახვი, გორი, ლავოდუხი) და აგრეთვე არსებობს ცნობები, რომ ეხმარებოდნენ საუბნო საარჩევნო კომისიებს რეგისტრაციის წარმოებაში. რამოდენიმე შემთხვევაში, ოლქში საარჩევნო კამპანიის კოორდინატორები აგრეთვე ასრულებდნენ საარჩევნო კომისიების თანამშრომელთა მოვალეობას (ლიახვი, გორი, ღუშეთი).

შუა დონის კომისიების შტატში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა მათ მიერ წარსულში გაწეული სამუშაოდან გამომდინარე. 49 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ოფიციალურად გადადგა თანამდებობიდან და საოლქო საარჩევნო კომისიების 331 წევრი იქნა დათხოვილი. ცვლილებების უმეტესი

ნაწილი პრეზიდენტის მიერ დანიშნულ ხუთ წევრს შეეხო. რამდენიმე შემთხვევაში, საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები არ გადადგნენ ნებაყოფლობით. თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, რომელიც წარსულში პროფესიონალურად მუშაობდა, ახლადდანიშნულმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ აიძულა გადამდგარიყო. აღსანიშნავია, რომ აჭარის ექვსი საოლქო კომისიის თავმჯდომარეებიდან არც ერთი გადამდგარა ან დაუთხოვიათ, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ინფორმაცია უკანასკნელი არჩევნების დროს ჩადენილი გაყალბების შესახებ. დამკვირვებლების მოხსენებათა თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიები მთლიანობაში მოწესრიგებულად, გამჭვირვალედ და ეფექტიანად მუშაობდნენ, თუმცა იყო შესამჩნევი გამოწვევებიც, მათ შორის საბურთალო, ისანი, გორი, ახალქალაქი, ხარაგაული, ბათუმი, ქობულეთი და ხელვაჩაური.

საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის ცვლილებები უფრო მაღალი დონის კომისიებში არსებულ სქემას ასახავდა და არჩევნების წინა პერიოდში ნაციონალური მოძრაობისა და ბურჯანაძე-დემოკრატების მიერ დანიშნული კომისიის წევრების დომინირება აღინიშნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი თანამშრომელი ახლადდანიშნული იყო, საუბნო საარჩევნო კომისიები კოლეგიალურად და გულმოდგინედ მუშაობდნენ. თუმცა, ბევრ კომისიას დამატებითი ტრენინგი ესაჭიროება.

ამომრჩეველთა რეგისტრაცია

2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამოყენებული ამომრჩეველთა ცენტრალური მონაცემთა ბაზა მძაფრი კრიტიკის ობიექტი იყო. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ორი არცთუ იდეალური არჩევანი ჰქონდა – არსებულ მონაცემთა ბაზასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემის მოგვარება ან ახალი სიის შედგენა. არცერთი მიდგომა არ იძლეოდა 4 იანვრისათვის სრული და ზუსტი სიის შექმნის შესაძლებლობას.

9 დეკემბერს, ღია დებატებისა და საკითხის სასარგებლოდ მცირე უპირატესობით წარმართული კენჭისყრის შემდეგ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ახალი რეგისტრაცია არჩია. გადაწყვეტილება განპირობებული იყო იმით, რომ საზოგადოების ნდობა ძველი სიების მიმართ ძალზედ დაბალი იყო და არ იძლეოდა ამ სიებით სანდო არჩევნების ჩატარების შესაძლებლობას. ამიტომაც, ის შეიძლება გავამართლოთ, როგორც გონივრული გადაწყვეტილება არსებულ პირობებში.

რეგისტრაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირების კამპანია ნელა დაიწყო, მაგრამ შემდგომში საკმაოდ ძლიერი გახდა. მართალია ქალაქებში მცხოვრები მოქალაქეების უმეტესობამ იცოდა პროცესის შესახებ და ფლობდა ძირითად ინფორმაციას მისი წესების თაობაზე, მაგრამ სოფლის მოსახლეობა და არაქართული რაიონების მაცხოვრებლები ნაკლებად იყვნენ გათვინცობიერებულნი.

რეგისტრაციასთან დაკავშირებული ამოცანებისა და მოვალეობების დიდი ნაწილი საუბნო საარჩევნო კომისიებს დაეკისრა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ადგილას პროცესი დაგვიანებით დაიწყო, ხოლო რესურსებთან და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები არსებობდა, დამკვირვებელთა მოხსენებების თანახმად, საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებმა გულმოდგინედ იმუშავეს რეგისტრაციის ყველა ასპექტთან დაკავშირებით. საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიები, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი განყოფილებები და ხელისუფლების სხვა ორგანოები ძირითადად კანონისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მითითებების შესაბამისად მოქმედებდნენ. საარჩევნო ადმინისტრაცია ქებას იმსახურებს გაწეული მნიშვნელოვანი საუშაოსათვის, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოების ნდობის ამაღლებას არჩევნების ამ მნიშვნელოვანი ასპექტის მიმართ.

თუმცა, მიუხედავად ამ საქმიანობისა, სიები არასრულად უნდა მივიჩნიოთ. გარკვეულმა ნაკლოვანებებმა წარმოშვა შეშფოთება მათ სიზუსტესა და სისრულესთან დაკავშირებით. ყველაზე უფრო სერიოზული პრობლემა არის ის, რომ ვინაიდან ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის დადასტურება რთულია, მრავალ ამომრჩეველს ყოფილ საცხოვრებელ ადგილზე გამგზავრება უწევდა, რათა თავიდან აეცილებინა საარჩევნო უფლების დაკარგვა. ამომრჩეველთა სიის ცენტრალიზაცია და კომპიუტერიზაცია უნდა განხორციელდეს რაც შეიძლება მალე.

მართალია არსებობდა გადამოწმების მექანიზმი, მაგრამ მოკლე ვადების გამო მრავალჯერადი რეგისტრაციის აღკვეთის შესაძლებლობა შეზღუდული იყო. საუბნო საარჩევნო კომისიები ცენტრალური საარჩევნო კომისიის

მიერ დადგენილ წესებს არაერთგვაროვნად იყენებდნენ, მათ შორის ე.წ. „ოჯახური რეგისტრაციის“ შემთხვევებში. არსებობს სარწმუნო ცნობები იმის თაობაზე, რომ თანამდებობის პირები უკანონოდ იღებდნენ ფულს პირადობის

დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემისას. ერთ შემთხვევაში, როდესაც საქმეში ცენტრალური საარჩევნო კომისია ჩაერია, დამრღვევები საჯაროდ იქნენ დათხოვილნი თანამდებობიდან.

30 დეკემბერს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადაწყვიტა დაეშვა ამომრჩევლების რეგისტრაცია არჩევნების დღეს, მათ შორის საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლებისაც. ეს დებულება გონიერული ჩანს, ამ არჩევნების თანმხლები გარემოებების გათვალისწინებით, რადგანაც ამომრჩეველთა რეგისტრაცია სავარაუდოდ არასრული იყო, მაგრამ ეს დებულება არ უნდა იქცეს მუდმივმოქმედ მექანიზმად. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს წესი იწვევს გრძელ რიგებს, თუმცა უწესრიგობა თითქმის არ გამოუწვევია.

აჭარაში არჩევნების წინ ამომრჩეველთა რეგისტრაცია არ განხორციელდა. ამომრჩეველთა აქტივობა აქ ძალზედ დაბალი იყო.

კანდიდატების რეგისტრაცია და კამპანია

ორმა პოლიტიკურმა პარტიამ და ხუთმა საინიციატივო ჯგუფმა შეძლო 12 დეკემბრამდე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში კანდიდატის მხარდამჭერთა სიის წარდგენა სულ მცირე 50 000 ხელმოწერით. ერთ კანდიდატს, ივორ გიორგაძეს, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, რადგანაც ის არ აკმაყოფილებდა მოთხოვნას საცხოვრებელი ადგილის თაობაზე. დანარჩენი ექვსი კანდიდატი რეგისტრაციაში გატარდა 17 დეკემბერს (ერთ-ერთმა საკუთარი კანდიდატურა არჩევნების წინა დღეს მოხსნა). ექვსი კანდიდატიდან ორი მონაწილეობდა 1995 და 2000 წლების საპრეზიდენტო არჩევნებში და ხმების 1%-ზე ნაკლები მიიღო.

მართალია საპრეზიდენტო არჩევნებში რამოდენიმე კანდიდატი მონაწილეობდა, მაგრამ პოლიტიკური გარემო არ იყო კონკურენტული. იყო ერთი მკაფიოდ გამოკვეთილი ფავორიტი, რომელიც პოლიტიკურ სცენაზე დომინირებდა. გარდა ნაციონალური მოძრაობის და ბურჯანაძე-დემოკრატებისა, არც ერთ მსხვილ პოლიტიკურ პარტიას კანდიდატი არ წარუდგენია. შესაძლოა, რომ ახალი პოლიტიკური გარემოსა და მოკლე ვადების გამო რამოდენიმე პოტენციურმა კანდიდატმა გადაიფიქრა არჩევნებში მონაწილეობა. რაც შეეხება მაჟორიტარულ არჩევნებს, იმ თერთმეტი ოლქიდან, სადაც მეორე ტური იმართებოდა, ორში ელექტორატს რეალური არჩევანი არ ჰქონდა, რადგანაც კანდიდატებმა არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე უარი განაცხადეს მონაწილეობაზე.

კამპანია მეტად პასიური იყო და მთელს ქვეყანაში ღონისძიებების ძალზედ მცირე რიცხვი გაიმართა. რამოდენიმე კანდიდატმა განაცხადა, რომ არ ჰქონდა საკმარისი თანხები კამპანიის მასალების მოსამზადებლად და ღონისძიებების გასამართად. ფავორიტი კანდიდატი ყურადღებას ამახვილებდა რეგისტრაციასა და ხმის მიცემაში ხალხის ფართომასშტაბიან მონაწილეობაზე.

დამკვირვებლებმა მოგვახსენეს, რომ სახელმწიფოს ადმინისტრაციული რესურსები ზოგჯერ ერთი კანდიდატის სასარგებლოდ გამოიყენებოდა. სხვა კანდიდატები არ სარგებლობდნენ ასეთი შესაძლებლობით, რაც ერთიან საარჩევნო კოდექსს ეწინააღმდეგება. რამოდენიმე შემთხვევაში, ბატონი სააკაშვილის ადგილობრივი საარჩევნო შტაბები განლაგებული იყო სახელმწიფო მფლობელობაში მყოფ შენობებში (ყვარელის მე-16, ყაზბეგის 29-ე, ახალქალაქის მე-40, ასპინძის 39-ე ოლქები, შიდა ქართლის რეგიონი). ნაციონალური მოძრაობისა და ბურჯანაძე-დემოკრატების კამპანიის მასალები და დროშები ზოგჯერ საჯარო დაწესებულებებში იყო გამოფენილი (გორი, ტყვიავი, ყარაღეთი, ახალქალაქი, ამბროლაური, რაჭა-ლეჩხუმის გუბერნატორის შენობა). ასეთი მაგალითები გვიჩვენებს სახელმწიფო და პარტიული სტურქტურების გამიჯვნის ნაკლებობას, რაც მუდმივი პრობლემა იყო წინა არჩევნებში. მართალია ეს დარღვევები არ იყო სისტემატური და ფართოდ გავრცელებული, მაგრამ ხელისუფლებამ აშკარად უნდა გააუმჯობესოს საკუთარი საქმიანობა ყველა კანდიდატისათვის თანაბარი პირობების შექმნის თვალსაზრისით.

ერთიანი საარჩევნო კოდექსის დარღვევით, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ინარჩუნებდნენ ან იკავებდნენ თანამდებობებს და იმავდროულად მონაწილეობდნენ პარლამენტის არჩევნებში. სამცხე-ჯავახეთის ახლადდანიშნული გუბერნატორი და ახალქალაქის გამგებელი არ გადადგარან თანამდებობებიდან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იყვნენ კანდიდატები 4 იანვრის მაჟორიტარულ არჩევნებში. ქვემო ქართლის რეგიონში, საგარეჯოს მე-11, ჩუღურეთის მე-7 და დიდუბის მე-8 ოლქებში დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად იყო ჩაბმული რეგისტრაციის პროცესში. ერთ შემთხვევაში (გორი, ტყვიავი),

დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ საუბნო სარჩევნო კომისიის წევრები ამომრჩეველთა რეგისტრაციის დროს პენსიებს გასცემდნენ.

საარჩევნო კამპანია მეტწილად მშვიდობიანი იყო. არ გამართლდა შიში, რომ სერიოზული წინასაარჩევნო ძალადობა დაჩრდილავდა საარჩევნო პროცესს. თუმცა, 15 დეკემბერს, ასაფეთქებელმა მოწყობილობამ მცირე დაზიანება მიაყენა კანდიდატ თემურ შაშიაშვილის სახლს. საქართველოს სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრებმა განაცხადეს იმ საფრთხის შესახებ, რომელიც კანდიდატ მიხეილ სააკაშვილს ემუქრებოდა. ამის შემდეგ, ის გადაყვანილ იქნა თბილისში გალაგებული პრეზიდენტის რეზიდენციის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელ კორპუსში. არჩევნების წინა კვირებში, თბილისში ხუთ მცირე აფეთქებას ჰქონდა ადგილი.

22 დეკემბერს, აჭარაში უცნობმა მამაკაცებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს სტუდენტთა ლიდერს, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ავტონომიურ რესპუბლიკაში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მხარდასაჭერად შექმნილი საზოგადოებრივი კომიტეტის საქმიანობაში. შემდგომში, საჭირო გახდა მისი თბილისში გადმოყვანა სამკურნალოდ.

მედია

უშუალოდ ნოემბრის მოვლენების შემდგომ პერიოდში მედია აზრის გამოხატვის თავისუფლების მაღალი ხარისხით სარგებლობდა, გარდა აჭარისა. თუმცა, სერიოზული შეშფოთება გამოიწვია მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებების მიმართ ძალადობის ცალკეულმა შემთხვევებმა და მედიის შეზღუდვამ აჭარაში. მაგალითად, მცირე ნაღმი აფეთქდა სახელმწიფო ტელერადიო კომპანიის შენობის წინ, ხოლო წამყვანი კერძო სამაუწყებლო კომპანიის, რუსთავი 2-ს შენობას ყუმბარმტყორცვის ჭურვი ესროლეს. დეკემბრის დასაწყისიდან მოყოლებული შეწყდა რუსთავი 2-ს მაუწყებლობა აჭარაში, რის შედეგადაც კიდევ უფრო მეტად შეიზღუდა აზრის გამოხატვის თავისუფლება ავტონომიურ რესპუბლიკაში.

აქტიური კამპანიის არარსებობა და შემჭიდროებული ვადები არ უწყობდა ხელს ყოვლისმომცველი ინფორმაციის გავრცელებას საარჩევნო პროცესის შესახებ. როგორც ბეჭდვითი, ისე ელექტრონული მედია ყურადღებას ძირითადად ბატონი სააკაშვილის კანდიდატურაზე და მთავრობის წარმომადგენელთა საქმიანობაზე ამახვილებდა. სხვა კანდიდატები მედიაში თითქმის არ მოიხსენიებოდნენ. ნოემბრის არჩევნებისაგან განსხვავებით, მედიამ ზოგადად გამოავლინა ობიექტურობის უფრო მაღალი ხარისხი და უფრო კრიტიკული მიდგომა. დიდი ყურადღება დაეთმო ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საჯარო განცხადებათა კამპანიის მეშვეობით. ამ მხრივ, კერძო მედიამ განსაკუთრებით აქტიური როლი შეასრულა.

სახელმწიფო მედია ზოგადად იცავდა საკანონმდებლო დებულებებს უფასო საეთერო დროის განაწილების თობაზე. ყველა კანდიდატმა გამოიყენა უფასო საეთერო დროის მეშვეობით საკუთარი მესიჯის გადაცემის შესაძლებლობა, თუმცა მისი ეფექტიანობა მცირდებოდა, როდესაც ის საუკეთესო საეთერო დროის ფარგლებს მიღმა გადაიცემოდა. ფასიან რეკლამას მხოლოდ აღიარებული ფავორიტი იყენებდა. სახელმწიფო ტელევიზიის პირველმა არხმა საერთო საეთერო დროის 46% პრეზიდენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას დაუთმო, ხოლო 22% - ნაციონალურ მოძრაობას. ეს ინფორმაცია ძირითადად პოზიტიური იყო და მათ ხშირად ეძლეოდათ ინტერვიუების საშუალებით საზოგადოებისათვის პირდაპირ მიმართვის შესაძლებლობა.

ნაციონალურ მოძრაობასა და აღიარებულ ფავორიტს მედია ყველაზე მეტ ყურადღებას უთმობდა. მათ დაეთმო ყველაზე პოპულარული ტელეარხების მთლიანი საეთერო დროის 27% და გადაცემული ინფორმაცია ძირითადად პოზიტიური ხასიათისა იყო. გარდა ამისა, იმავე მთლიანი საეთერო დროის 32% პრეზიდენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას დაეთმო, ხოლო ამ ინფორმაციის 87% პოზიტიური იყო, რის შედეგადაც საგრძნობლად გაიზარდა ამჟამინდელი პრო-სახელისუფლებო ჯგუფის საქმიანობის გაშუქების მასშტაბი. ამის საპირისპიროდ, აჭარის ტელევიზია უპირატესობას აღორძინების კავშირს ანიჭებდა და მას პოზიტიური ინფორმაციის 73% პროცენტი დაუთმო. ხშირად ის ნეგატიურად აშუქებდა ცენტრალური ხელისუფლების საქმიანობას. ტელეარხმა „იმედი“ კამპანია ყველაზე უფრო გაწონასწორებულად გააშუქა.

იგივე სურათი შეიმჩნეოდა პრესაში, სადაც ფართის დაახლოებით 60% მთავრობის წევრებს, ნაციონალურ მოძრაობასა და ბურჯანაძე-დემოკრატებს ეთმობოდა. მიუხედავად ამისა, ბეჭდვითი მედია მთლიანობაში პოლიტიკურ შეხედულებათა უფრო ფართო სპექტრს მოიცავდა და ხელისუფლების საქმიანობას უფრო კრიტიკულად აშუქებდა.

საარჩევნო დაგეგმვა

სასამართლოებსა თუ საარჩევნო კომისიებში ძალზედ ცოტა ფორმალური საჩივარი იქნა წარდგენილი. ეს მკვეთრად განსხვავდება წინა არჩევნების დროს არსებული მდგომარეობისაგან. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს კამპანიის შეზღუდულ მასშტაბებთან და კონკურენტული გარემოს არარსებობასთან. წინასაარჩევნო პერიოდში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 20-ზე ნაკლები ფორმალური საჩივარი მიიღო და ისინი ძირითადად საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა დანიშნვას ეხებოდა. ის რამოდენიმე საქმე, რომელიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და სასამართლოებში იქნა წარდგენილი, კანონით დადგენილ ვადებში იქნა განხილული აშკარა მიკერძოების გარეშე.

გენდერული საკითხები

საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მამაკაცები დომინირებენ, თუმცა რამოდენიმე ქალმა, მათ შორის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, ნინო ბურჯანაძემ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამორჩეული ადგილი დაიკავა. ქალბატონი ბურჯანაძის მიერ დანიშნულ მთავრობაში მხოლოდ ერთი მინისტრი ქალია. ამჟამად მოქმედ პარლამენტში თოთხმეტი ქალია. საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა 80% მამაკაცია, ხოლო თავმჯდომარის მოადგილეთა 16.4% და მდივნების 61.3% ქალია.

კამპანიის დაბალმა აქტივობამ გაართულა საარჩევნო კამპანიაში ქალების მონაწილეობის ხარისხის ან პოლიტიკურ პლატფორმებში ქალთა საკითხების ჩართვის სიღრმისეული შეფასება. დამკვირვებელთა მოხსენებების თანახმად, წინასაარჩევნო რეგისტრაციაში ქალები და მამაკაცები თანაბრად მონაწილეობდნენ.

ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა

დამკვირვებელთა შეფასებით, ეროვნული უმცირესობების ცოდნა საარჩევნო პროცესის შესახებ გაიზარდა 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, როდესაც უმცირესობების წარმომადგენელთა მიერ ქართულ ენაზე დაბეჭდილი საარჩევნო მასალების არასრულფასოვანმა გაგებამ ხელი შეუწყო საარჩევნო დაღრმეებს აზერბაიჯანელებითა და სომხებით დასახლებულ რაიონებში. ამ პრობლემების მოსაგვარებლად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის დაბეჭდა ორენოვანი ბიულეტენები (ქართულ-რუსული) და ამომრჩეველთა რეგისტრაციის მასალები აზერბაიჯანულ, სომხურ, რუსულ და ქართულ ენებზე. სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ჯგუფები მხარს უჭერდნენ ამომრჩეველთა განათლების პროგრამების განხორციელებას ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში.

თუმცა, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ორენოვანი ბიულეტენები ყოველთვის ხელმისაწვდომი არ იყო (ახალციხის 37-ე, ნინოწმინდის 41-ე). საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა დამკვირვებლებს შესჩივეს, რომ არ ესმოდათ ხმის მიცემასთან დაკავშირებული ინსტრუქციები (მარნეულის 22-ე, ახალქალაქის მე-40). ამან განსაკუთრებული პრობლემები წარმოშვა მხოლოდ ქართულ ენაზე დაბეჭდილი ოქმების შევსებისას სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში, სადაც უმთავრესად სომხური და აზერბაიჯანული მოსახლეობა ცხოვრობს.

სამოქალაქო საზოგადოება

არჩევნებზე დამკვირვებელთა საერთაშორისო მისია აღნიშნავს არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიტიურ და ენთუზიაზმით აღსავსე საქმიანობას და როლს, რომელსაც ისინი ასრულებენ სამოქალაქო საზოგადოებაში არჩევნებში აქტიური მონაწილეობის გზით. საქართველოს არასამთავრობო სექტორი აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი დამკვირვებლების საქმიანობაში 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს. განსაკუთრებით ეს ეხება სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას და საქართველოს ახლაგაზრდა იურიისტთა ასოციაციას, რომლებიც ადგილობრივ დამკვირვებელთა უმსხვილესი ორგანიზაციებია. შემდგომში, „სამართლიანი არჩევნების“ რამოდენიმე თანამშრომელი საარჩევნო ადმინისტრაციაში იქნა მიწვეული 2004 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების მომზადების პროცესში.

მთლიანობაში, ადგილობრივი დამკვირვებლები ნაკლებად აქტიურად და ნაკლები მასშტაბით ადევნებდნენ თვალყურს ამ საარჩევნო პროცესს ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით. „სამართლიანი არჩევნები“

და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია კარგად იყვნენ წარმოდგენილნი ზოგიერ ადგილას, მაგრამ თითქმის არ იყვნენ წარმოდგენილნი სხვა ადგილებში. „სამართლიან არჩევნებს“ განზრახული ჰქონდა ხმების პარალელური დათვლისა და ამომრჩეველთა აქტივობის პარალელური დათვლის განხორციელება. ადგილობრივ ჯგუფებს

ზოგადად ხელს არ უშლიდნენ მათ საქმიანობაში და ადგილი არ ჰქონია მათი დაშინების მცდელობებს, როგორც ეს წარსულში ხდებოდა. აჭარაში სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების დაშინებამ წინასწარჩევნო პერიოდში და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დამკვირვებლის დაპატიმრებამ ნოემბრის არჩევნების დროს თავდაპირველად დააფიქრა ზოგიერთი ორგანიზაცია ამ რეგიონში მეთვალყურეობის მიზანშეწონილობის თაობაზე. თუმცა, არჩევნების დღეს „სამართლიან არჩევნები,“ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ნაციონალური მოძრაობა და რამოდენიმე სხვა ჯგუფი აწარმოებდა მეთვალყურეობას, როგორც ჩანს, დაბრკოლებების გარეშე.

არჩევნების დღე, ხმების დათვლა და შეჯამება

ხმის მიცემა უფრო მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა, ვიდრე ნოემბრის არჩევნების დროს. მიუხედავად შიშისა, რომ დღესასწაულების გამო ამომრჩეველთა აქტივობა დაბალი იქნებოდა, ის მაღალი იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით 83% შეადგინა. დამკვირვებლებმა შენიშნეს დიდი სახალხო ენთუზიაზმი და ამომრჩეველთა აქტიურობა. არეულობას ან უწყისობას ადგილი ჰქონდა მხოლოდ 20 მონახულეულ უბანში. ზოგადად, დამკვირვებლებმა სერიოზულ დარღვევათა მცირე რაოდენობა შენიშნეს.

ისევე, როგორც წინა არჩევნების დროს, განსაკუთრებით გამორჩეულ საარჩევნო დარღვევებს ადგილი ჰქონდა ქვემო ქართლში, სადაც ხმების დათვლა და შეჯამება ძირითადი პროცედურების დარღვევით ხორციელდებოდა. რუსთავში, მარნეულსა და ბოლნისში მივლინებულმა დამკვირვებლებმა მოგვახსენეს, რომ ოქმების მხოლოდ მცირე ნაწილში იყო რიცხვები ზუსტად შეტანილი. რუსთავში ოქმები ნაციონალური მოძრაობის შტაბში იქნა შევსებული და შესწორებული. დამკვირვებლებმა მოგვახსენეს საარჩევნო ყუთში ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრის შემთხვევების შესახებ მარნეულში (მე-2, მე-4 და მე-16 საუბნო საარჩევნო კომისიები) და გარდაბანში (36-ე საუბნო საარჩევნო კომისია). გარდა ამისა, სხვის მაგიერ ხმის მიცემის ხშირმა შემთხვევებმა შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს შედეგების სამართლიანობა ამ ოლქებში.

ხელახალი მაჟორიტარული არჩევნები და 2 ნომბერს ჩატარებული არჩევნების მეორე ტური 15 ოლქში გაიმართა. ხმის მიცემა მშვიდად მიმდინარეობდა ყველგან, გარდა ხაშურისა, სადაც ძალადობის გამო მთელი დღის მანძილზე ვერ გაიხსნა საარჩევნო უბანი, რომელშიც მეორე ტური უნდა გამართულიყო და ახალქალაქისა, სადაც ადგილი ჰქონდა არეულობას ერთ საუბნო საარჩევნო კომისიაში.

არჩევნების დღეს ამომრჩეველთა რეგისტრაცია უბნების უმეტესობაში განხორციელდა. მოქალაქეები შეჰყავდათ სიაში, თუკი ისინი საცხოვრებელი ადგილის თაობაზე არსებულ წესს აკმაყოფილებდნენ. დამკვირვებლებმა ნახეს, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების თანამშრომლები უარს ეუბნებოდნენ ადამიანებს რეგისტრაციაზე, თუ მათ არ შეეძლოთ იმის დამტკიცება, რომ მოცემული საუბნო საარჩევნო კომისიის იურისდიქციაში შემაჯალ ტერიტორიაზე ცხოვრობენ (შემთხვევათა 18,5%), თუმცა შემთხვევათა დაახლოებით 4%-ში რეგისტრაცია განხორციელდა საცხოვრებელი ადგილის შესაფერისი შემოწმების გარეშე (თბილისი, ლიახვი, გორი, ბოლნისი, ახალქალაქი).

გაყალბების საწინააღმდეგო მარკირების პროცედურა ქვეყნის მრავალ რეგიონში არათანამდევრულად ხორციელდებოდა, მათ შორის შიდა ქართლში (გორი, ქარელი), სამცხე-ჯავახეთში (ახალქალაქი), ქვემო ქართლში (მარნეული, წალკა), იმერეთში (ჭიათურა, ბაღდათი, ვანი, ხარაგაული) კახეთში (გურჯაანი), მცხეთა-მთიანეთში (მცხეთა, დუშეთი, ყაზბეგი, ახალგორი). შემთხვევათა 10-11%-ში დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ ამომრჩეველებს იშვიათად უტარებდნენ მარკირებას და იშვიათად ამოწმებდნენ მელნის არსებობას. ზოგიერთ ადგილებში საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები არ ახდენდნენ მარკირებას, როდესაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ყველა ამომრჩეველს იცნობდნენ. თუმცა, მელნის არარსებობამ შეამცირა გაყალბების საწინააღმდეგო მნიშვნელოვანი მექანიზმის ეფექტიანობა. ამომრჩეველთა ვინაობის არასათანადოდ დამოწმება აგრეთვე ზრდიდა მრავალჯერადი და ოჯახური ხმის მიცემის ალბათობას. დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ იყო შემთხვევები, როდესაც ამომრჩეველთა სიაში იდენტური ხელმოწერები იყო, განსაკუთრებით მარნეულში (22-ე), წალკასა (25-ე) და ნინოწმინდაში (41-ე).

ისევე, როგორც წინასწარჩვენი პერიოდში, არჩევნების დღესაც საარჩევნო კომისიები ყოველთვის არ ინარჩუნებდნენ საკმარის დისტანციას კანდიდატ სააკაშვილის კამპანიისაგან და სახელმწიფო ხელისუფლების

წარმომადგენლებისაგან. საახალწლო ბარათები სააკაშვილის მილოცვით რიგდებოდა საუბნო საარჩევნო კომისიებში (რუსთავი, მარნეული) და მთელს ქვეყანაში საუბნო საარჩევნო კომისიებში ვარდები იყო განთავსებული.¹ ზოგიერთ საარჩევნო უბანში ნაციონალური მოძრაობის წევრები იმყოფებოდნენ, მაგრამ ამომრჩევლებს მითითებეს სააკაშვილისათვის ხმის მიცემის თაობაზე ღიად მხოლოდ ნინოწმინდაში აძლევდნენ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები (ბოლნისი, გორი, ნინოწმინდა) და პოლიციის თანამშრომლები (რუსთავი, ბოლნისი, გორი) აგრეთვე იმყოფებოდნენ ზოგიერთ საუბნო საარჩევნო კომისიაში. ქობულეთში, აჭარაში, დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ ხუთი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ოქმები საოლქო საარჩევნო კომისიის ნაცვლად ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების ოფისში წაიღო.

საარჩევნო კომისიებში კოლევიალური ატმოსფერო სუფევდა და თანამშრომლები გულმოდგინედ მუშაობდნენ. თუმცა, დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ ბევრ კომისიას დამატებითი მომზადება ესაჭიროება, რადგანაც ბევრი თანამშრომელი ახლადდანიშნული იყო.

ხმების დათვლის დროს ატმოსფერო ზოგადად პოზიტიური იყო და მხოლოდ მცირე ინციდენტებს ჰქონდა ადგილი. თუმცა, საუბნო საარჩევნო კომისიების 15%-ში ხმების დათვლის პროცესი შეფასდა, როგორც ცუდი ან ძალიან ცუდი. საუბნო საარჩევნო კომისიების 5%-ში ადგილი ჰქონდა სერიოზულ დარღვევებს და განსაკუთრებულ შემოთქმას იწვევდა უბნებში საკმაოდ ბევრი ისეთი პირის ყოფნა, ვისაც ამის უფლება არ ჰქონდა. საოლქო საარჩევნო კომისიების დონეზე, ოქმების შეჯამებასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები შეინიშნებოდა სამგორში, ჩულურეთში, გლდანში, რუსთავში, მარნეულსა და ბოლნისში.

*განცხადების მხოლოდ ინგლისური ვერსია წარმოადგენს
ერთადერთ ოფიციალურ დოკუმენტს*

ინფორმაცია მისიის შესახებ და მადლიერება

ბატონი ბრიუს ვორჯი, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი, დაინიშნა ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის მიერ საგანგებო კოორდინატორად, რათა ეხელმძღვანელა მოკლევადიან დამკვირვებელთათვის. ბატონი მათეას იორში ხელმძღვანელობდა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას, ხოლო ბატონი დემეტრიო ვოლჩინი ხელმძღვანელობდა ევროპარლამენტის დელეგაციას. ელჩი კრეიგ ჯენესი სათავეში ედგა ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე დამკვირვებელთა მისიას.

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე დამკვირვებელთა მისია თბილისში 5 დეკემბერს გაიხსნა, სადაც 38 ექსპერტი და გრძელვადიანი დამკვირვებელი მუშაობდა. ისინი თბილისსა და 10 რეგიონულ ცენტრში იყვნენ განაწილებულნი. არჩევნების დღეს არჩევნებზე დამკვირვებელთა მისიამ ეუთო-ს წევრი 38 სახელმწიფოდან, დაახლოებით, 450 მოკლევადიანი დამკვირვებელი, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის 22 წევრი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 13 წევრი და ევროპის პარლამენტის სამი წევრი მოავლინა. ევროპის საბჭოს სამდივნომ დამატებით 23 დამკვირვებელი მოავლინა. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 2850 საარჩევნო უბნიდან არჩევნებზე დამკვირვებელთა საერთაშორისო მისია აკვირდებოდა ხმის მიცემის პროცესს 1500 უბანზე და ხმების დათვლის პროცესს დაახლოებით 130 უბანზე. არჩევნებზე საერთაშორისო დამკვირვებელთა მისია აგრეთვე აკვირდებოდა ხმათა შეჯამების პროცესს 40-ზე მეტ საოლქო საარჩევნო კომისიაში.

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი არჩევნების შესახებ სრულ ანგარიშს პროცესის დასრულების შემდეგ, დაახლოებით, ერთი თვის ვადაში გამოაქვეყნებს.

არჩევნებზე დამკვირვებელთა საერთაშორისო მისიას სურს მადლობა გადაუხადოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა ორგანოებს დაკვირვების პროცესში გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობისათვის. არჩევნებზე დამკვირვებელთა საერთაშორისო მისიას ასევე სურს იმ მხარდაჭერის აღნიშვნა, რომელიც მისი მუშაობის განმავლობაში მას

საქართველოში ეუთო-ს მისიამ და თბილისში აკრედიტებულმა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა და საელჩოებმა აღმოუჩინეს.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაუკავშირდეთ :

- ელჩ კრეიგ ჯენესს, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელს თბილისში (+995 32 253 562);
- ურდურ გუნარსლოტერს, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის წარმომადგენელს (+48 603 683 122), ან ბატონ ნიკოლა კაჩაროვსკის, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის მრჩეველს, ვარშავა (+48 603 79 37 83);
- ანგუს მაკდონალდს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, სტრასბურგი (+33 630 496 820);
- ბატონ იან იორენს, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის მრჩეველს პრესის საკითხებში, კოპენჰაგენი (+45 4041 1641);
- ბატონ ტიმ ბოდენს, ევროპის პარლამენტი, ბრიუსელი (+32 475 35 1948);

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე დამკვირვებელთა მისია:
ყიფშიძის მეორე კვარტალი, პირველი კორპუსი, თბილისი, საქართველო. ტელ.: +995 32 25 35 26, 25 35 27;
ფაქსი: +995 32 25 35 23, ელ-ფოსტა: office@odihr.cdn.ge